ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2498434

ნომერი: AR1388392

თარიღი : 22.03.2016

გაცემის თარიღი : 23.03.2016

გაცნობის თარიღი : 23.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2016 წლის 22 მარტის №AR1388392 განაცხადთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 22 მარტის №AR1388392 განაცხადით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა, თანაგამცხადებელ ზაზა ქოჩიაშვილთან ერთად და ამავე სამსახურის 2015 წლის 08 დეკემბრის №2328902 ბრძანებაში ცვლილების შეტანა მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 08 დეკემბრის №2328902 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №3–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.05.007.211), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა, საცხოვრებელი/კომერციული/საოფისე არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2015 წლის 08 დეკემბრის №2328902 ბრძანებაში და წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართი - 6083 კვ.მ; საზაფხულო ფართი - 1988.4 კვ.მ; სადარბაზოს ფართი - 697.9 კვ.მ; საოფისე ფართი - 396.5 კვ.მ; ავტოფარეხის ფართი - 427.4 კვ.მ; საერთო ფართი - 9593.2 კვ.მ.
სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება სამსახურის 2015 წლის 08 დეკემბრის №2328902 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას.
განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი სართულების გეგმისა და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ცხრილიდან არ დგინდება, თუ კონკრეტულად რა ხარვეზია შეთანხმებულ არიქტექტურულ პროექტში და რის საფუძველზე ხდება ფართების მაჩვენებლების მომატება. იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა დაადგინოს აღნიშნული, ასევე, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი მაჩვენებლები შეთანხმებულ არიქტექტურულ პროექტს, აუცილებელია განმცხადებელმა განმარტოს ხარვეზის მიზეზი და დამატებით წარმოადგინოს შესაბამისი, საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი, იმ ფართების კროკების დატანით, რომლებზეც ხდება ტექნიკური შეცდომის გასწორება.
ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მე–18 მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომ-საზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავ-შირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ განსახილველ განაცხადთან დაკავშირებით სამსახურმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა, განმცხადებელმა მიუთითოს, თუ რა ხარვეზია სამსახურის 2015 წლის 08 დეკემბრის №2328902 ბრძანებაში, რის საფუძველზე ხდება სართულებზე ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მომატება, წარმოადგინოს საპროექტო შენობა-ნაგებობის ცვლილების შესაბამისი ვექტორული ფაილი იმ ფართების კროკების დატანით, რომლებზეც ხდება ტექნიკური შეცდომის გასწორება.
გარდა ამისა, განაცხადი დარეგისტრირებულია არასწორი ნომეკლატურით. გამომდინარე იქედან, რომ მოთხოვნილია ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, განაცხადის შესაბამის ნომეკლატურას წარმოდგენს: ელექტრონული განცხადებები – სამართლებრივი საკითხები – ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განმარტება, თუ რამ გამოიწვია ხარვეზი სამსახურის 2015 წლის 08 დეკემბრის №2328902 ბრძანებაში და რის საფუძველზე ხდება ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება, წარმოადგინოს საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი იმ ფართების კროკების დატანით, რომლებზეც ხდება ტექნიკური შეცდომის გასწორება. ასევე, შეცვალოს განცხადების ნომეკლატურა შემდეგნაირად: ელექტრონული განცხადებები – სამართლებრივი საკითხები – ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2016 წლის 22 მარტის №AR1388392 განაცხადი დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.